

ლოგოსი, ეთოსი და პათოსი პოლიტიკოსთა ვერბალური ძალადობით  
გაჯერებულ დისკურსში

მარიამ ქაშიბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა  
(ევროპული - რუსული - აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბესელია, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქაშიბაძე

19.06.2014

## აბტრაქტი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ეთოსის, პათოსის და ლოგოსის გამოხატვის ფორმების ანალიზი ვერბალური ძალადობით გაჯერებულ ესპანურ, ინგლისურ და ქართულენოვან პოლიტიკურ დისკურსებში. როგორ წარმოაჩენს პოლიტიკოსის მიერ გამოყენებული აგრესიული მეტყველება მის ეთოსს ანუ პიროვნებას, როგორია მისი დისკურსული სტრატეგია ანუ ლოგოსი და რა გავლენას ახდენს ის მსმენელზე ანუ როგორია დისკურსის პათოსი. ასევე ჩვენი მიზანია დავადგინოთ ზემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა ენოვან პოლიტიკოსთა აგრესიულ დისკურსებს შორის მსგავსებები და განსხვავებები დარწმუნების ამ ხერხების გამოყენებისას და ავხსნათ ისინი.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველ თავში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. გაანალიზებულია არისტოტელესეული ტრიადა, როგორც დარწმუნების სამი ხერხი და თანამედროვე არგუმენტაციის თეორიების საფუძველი. ყურადღება გამახვილებულია ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტზე – პოლიტიკურ დისკურსზე. შემდგომ განხილულია აგრესიის ფენომენი, ვერბალური ძალადობა და მისი გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში.

საკვლევ კორპუსად შერჩეულია თანამედროვე ესპანელი, ბრიტანელი და ქართველი პოლიტიკოსების ვერბალური ძალადობით გაჯერებული დისკურსები. აღწერილია და გაანალიზებულია ამ დისკურსებში გამოხატული დარწმუნების ხერხები – ლოგოსი, ეთოსი და პათოსი.

ბოლო თავი ეთმობა კვლევის შედეგების აღწერას და შეჯამებას. შეპირისპირებითი მეთოდის მეშვეობით წარმოჩენილია წარმოდგენილ სხვადასხვაენოვან დისკურსებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთოსი, პათოსი, ლოგოსი, არგუმენტაცია, პოლიტიკური დისკურსი, ვერბალური ძალადობა, აგრესია.